ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 167/ბ

თბილისი "22" "მაისი" 2013წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ანა ჩაჩხუნაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინის რეგიონული სასწავლო ცენტრი"** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ კვიცარიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N118 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, შემსყიდველისათვის საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შემსყიდველის ტერიტორიულ ერთეულში (ფილიალში) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში განთავსებული ბენეფიციარების საჭიროებისათვის სამედიცინო მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები - 85100000; დეტალური CPV-85131000 - სტმატოლოგიური მომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 2000,00 (ორიათასი ლარი) ლარად (შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~).

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, გასაწევი მომსახურების დასახელება, მომსახურების ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1.

4. მომსახურების გაწევის პირობები

მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის და 15.1. პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას 5.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 გაუწიოს „შემსყიდველს" მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

7.1.2 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

7.1.3 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4 თუ მომსახურების პროცესში აღმოჩნდება, რომ საჭიროა ისეთი მომსახურების შესყიდვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულების დანართში #1, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებაში ცვლილება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. გაუთვალისწინებელი მომსახურების ერთეულის ფასის განსაზღვრა ხდება შემსყიდველთან შეთანხმებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საბაზრო ფასს, ხოლო გაუთვალისწინებელი მომსახურების არსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს.
10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან ორი _ შემსყიდველთან.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"	შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობი საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინ რეგიონული სასწავლო ცენტრი"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. #144	მის: ქ.ქუთაისი, თამარ მეფის 5/7
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „თიბისი ბანკის" ქუთაისის ფილიალი
კოდი # TRESGE22	კოდი # TBCBGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა/ა # GE40TB0366636080160802
ს/კ # 205169592	ს/კ #212693780
ანა ჩაჩხუნაშვილი	მერაბ კვიცარიძე
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი

დანართი #1

გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი		ერთეულის ფასი (ლარი)	ტექნიკური დავალება	მიწოდების ადგილი და ვადები
ქირურგიული მომსახურება				
სარძევე კბილების ექსტრაქცია	აპლიკაციური ანესთეზია	10,00	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმ-სტომატოლოგ(ები)ის მიერ, მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის სტომატოლოგიურ კლინიკაში (სტომატოლოგიური კაბინეტი). სტომატოლოგიური კაბინეტი უნდა იყოს აღჭურვილი ყველა იმ მანქანა დანადგარით თუ მოწყობილობით, ასევე ყველა საჭირო მედიკამენტით, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის. მომსახურების გაწევისას უნდა იყოს დაცული	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს პაციენტის კლინიკაში გამოცხადებისთ
	ანესთეზია ლიდოკაინით	12,00		
	ანესთეზია კარპულით	15,00		
მუდმივი ერთფესვიანი კბილების ექსტრაქცია	ანესთეზია ლიდოკაინით	15,00		
	ანესთეზია კარპულით	18,00		
	გართულებული	25,00		
მუდმივი მრავალფესვიანი კბილების ექსტრაქცია	ანესთეზია ლიდოკაინით	15,00		
	ანესთეზია კარპულით	18,00		
	გართულებული	20,00		
მე–8 კბილების ექსტრაქცია	ანესთეზია ლიდოკაინით	20,00		
	ანესთეზია კარპულით	25,00		
	გართულებული	30,00		
რეტენციული კბილების ექსტრაქცია	ნაწილობრივი	30,00		
	რთული	35,00		

ლაგამის კორექცია		30,00	ანგიოსურგიული ბოლქვის, მომსახურების გაწევის დროს ყველა ინსტრუმენტი უნდა იყოს სათანადო დონეზე დეზინფექცირებული. მომსახურების გაწევისას ყველა სახარჯი საჭირო მასალა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს. ექიმ-სტომატოლოგი ვალდებულია მომსახურების გაწევამდე დეტალურად შეისწავლოს პაციენტის მდგომარეობა, დასვას ზუსტი დიაგნოზი, გამოიკვლიოს არის თუ არა პაციენტი რომელიმე პრეპარატის მიმართ ალერგიული. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ სტანდარტებს	ანავე და დასრულდეს გონივრულ ვადაში, რომელიც საჭირო იქნება პაციენტის განკურნებისთვის მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსყიდველის სტომატოლოგიურ კლინიკაში (სტომატონლოგიური კაბინეტი) მის: ქ.ქუთაისი, თამარ მეფის 5/7 ვადაში.
მწვერვალის რეზექცია		50,00		
ალვეოლიტის მკურნალობა		15,00		
ალვეოლური მორჩის კორექცია	ეგზოსტიმის მოშორება	30,00		
პერიკორონიტი		30,00		
კანქვეშა აბსცესი		25,00		
სუბპერიოსტალური აბსცესი		30,00		
~~ზედა ყბის წიაღის პოსტექსტრაქციული ხვრელარხის~~ პლასტიკა		30,00		
მცირე ზომის ჭრილობების პირველადი ქირურგ. დამუშავება		20,00		
მობილიზაცია კბილების ნაწილობრივი და სრული ამოვარდნის დროს		25,00		
კისტექტომია		40,00		
ქვ. ყბის მოტეხილობა, მკურნ. ორთოპედიული მეთოდით		40,00		
მცირე ზომის კეთილთ სიმსივნეები და სიმსვინისმაგვარი წარმონაქმნების ქირურგიული მკურნალობა		30,00		
~~ზედა ყბის ლოკალიზაციის ~~ პოსტექსტრაქციული სისხლდენის ქირურგიული მკურნალობა		20,00		
სეკვესტრექტომია		30,00		
ორთოპედიული მომსახურება				

მეტალოპლასტმასის გვირგვინი	40,00	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმ-სტომატოლოგ(ები)ის მიერ, მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის სტომატოლოგიურ კლინიკაში (სტომატოლოგიური კაბინეტი). სტომატოლოგიური კაბინეტი უნდა იყოს აღჭურვილი ყველა იმ მანქანა დანადგარით თუ მოწყობილობით, ასევე ყველა საჭირო მედიკამენტით, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის. მომსახურების გაწევისას უნდა იყოს დაცული ჰიგიენური ზომები, მომსახურების გაწევის დროს ყველა ინსტრუმენტი უნდა იყოს სათანადო დონეზე დეზინფექცირებული. მომსახურების გაწევისას ყველა სახარჯი საჭირო მასალა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამაებოდეს შესაბამის სტანდარტებს. ექიმ-სტომატოლოგი ვალდებულია მომსახურების გაწევამდე დეტალურად შეისწავლოს	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს პაციენტის კლინიკაში გამოცხადებისთანავე და დასრულდეს გონივრულ ვადაში, რომელიც საჭირო იქნება პაციენტის განკურნებისთვის მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსყიდველის სტომატოლოგიურ კლინიკაში (სტომატონლოგ
მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზი (1 ყბა)	150,00		
მიკროპროთეზი	20,00		
ჩანართი	15,00		
გატეხილი პროთეზის შეკეთება	15,00		
პროთეზზე კბილის დამატება	15,00		
დროებითი გვირგვინი 1 ერთეული	35,00		

კბილის დაცემენტება		9,00	პაციენტის ძდგომარეობა, დასვას ზუსტი დიაგნოზი, გამოიკვლიოს არის თუ არა პაციენტი რომელიმე პრეპარატის მიმართ ალერგიული. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ სტანდარტებს	...იური კაბინეტი) მის: ქ.ქუთაისი, თამარ მეფის 5/7
ფიზიო		5,00		
თერაპიული მომსახურება				
პირველადი დახმარება	სარძევე კბილები	10,00	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმ-სტომატოლოგ(ები)ის მიერ, მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის სტომატოლოგიურ კლინიკაში (სტომატოლოგიური კაბინეტი). სტომატოლოგიური კაბინეტი უნდა იყოს აღჭურვილი ყველა იმ მანქანა დანადგარით თუ მოწყობილობით, ასევე ყველა საჭირო მედიკამენტით, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის. მომსახურების გაწევისას უნდა იყოს დაცული ჰიგიენური ზომები, მომსახურების გაწევის დროს ყველა ინსტრუმენტი უნდა იყოს სათანადო დონეზე	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს პაციენტის კლინიკაში გამოცხადებისთანავე და დასრულდეს გონივრულ ვადაში, რომელიც
	მუდმივი კბილები	10,00		
მუდმივი კბილების მკურნალობა	კარიესის მკურნალობა ჰელიო ბჟენით	34,00		
პულპიტის მკურნალობა	ერთარხიანი ჰელიო ბჟენით	45,00		
	ორარხიანი ჰელიო ბჟენით	50,00		
პერიოდონტიტის მკურნალობა ჰელიო ბჟენით		50,00		
დარიშხანის პასტის დადება მუდმივ კბილში		15,00		

MEDICINE CENTER & ... 212693780 LTD

არხიდან უცხო სხეულის ამოღება		13,00	დეზინფექცირებული. მომსახურების გაწევისას ყველა სახარჯი საჭირო მასალა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს. ექიმ-სტომატოლოგი ვალდებულია მომსახურების გაწევამდე დეტალურად შეისწავლოს პაციენტის მდგომარეობა, დასვას ზუსტი დიაგნოზი, გამოიკვლიოს არის თუ არა პაციენტი რომელიმე პრეპარატის მიმართ ალერგიული. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ სტანდარტებს	[illegible] საჭირო იქნება პაციენტის განკურნებისთვის მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსყიდველის სტომატოლოგიურ კლინიკაში (სტომატონლოგიური კაბინეტი) მის: ქ.ქუთაისი, თამარ მეფის 5/7
ვინირება		45,00		
ენდოდონტიური მკურნალობა	ერთარხიანი კბილის დეპულტაცია და დაბჟენა	25,00		
	ორ და სამ არხიანი კბილის დეპულტაცია და დაბჟენა	30,00		
ლორწოვანი დაავადებები	გინგივიტი, პაროდონდიტი, პარადონტოზი, სტომატიტი	15,00		
კბილის რენტგენი		5,00		

„შემსყიდველი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"

ანა ჩაჩხუნაშვილი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი"
შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინის რეგიონული სასწავლო ცენტრი"

მერაბ კვიცარიძე
დირექტორი